



გერმანიის ფედერაციული  
რესპუბლიკის საელჩო  
თბილისი

**ჩაწერა სავიზო განაცხადის შემოსატანად:**

ორშ. - პარ. 9:00 - 18:00 სთ.

ტელ: 0 900 007 001 (ზარის ღირებულება 3 ლარი)

**საბუთების შემოტანა:**

ორშ - ხუთ. 9:00-13:00 სთ., პარ. 9:00 – 12:00 სთ.

**სატელეფონო კონსულტაციები:**

ორშ. - პარ. 9:00-13:00 სთ. ტელ.: 243-53-99

**საინფორმაციო ფურცელი №1 ორი დანართით**

**შეთანხმება ევროპის კავშირსა და საქართველოს შორის ვიზების გაცემის პროცედურის გამარტივების შესახებ  
ძალაშია 2011 წლის 1 მარტიდან**

**1. თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია შემდეგი სავიზო შეღავათები:**

- საქართველოს მოქალაქეთა სავიზო განაცხადების განხილვის საფასური ვიზის მისაღებად ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე ყოფნის მიზნით მაქსიმუმ 90 დღით/ნახევარ წელიწადში (= შენგენის ვიზა) შეადგენს **35,00 ევროს** (აქამდე 60,00 ევრო).
- საქართველოს მოქალაქეთა **დანართ 1-ში** მითითებული კატეგორიებისთვის მგზავრობის მიზნის დასასაბუთებლად საკმარისია მხოლოდ დანართ 1-ში ჩამოთვლილი დოკუმენტაციის წარდგენა.
- დანართ 2-ში** მითითებული საქართველოს მოქალაქეთა ჯგუფები არ იხდიან სავიზო განაცხადების განხილვის საფასურს, თუკი ისინი დაასაბუთებენ (მაგ. მოქალაქეთა მდგომარეობის შესაბამისი მოწმობების წარმოდგენით), რომ მიეკუთვნებიან მოქალაქეთა იქ ჩამოთვლილი კატეგორიებიდან ერთ-ერთს.
- დამატებითი ინფორმაციები შეგიძლიათ ამოიკითხოთ შეთანხმების ტექსტიდან.

**2. მნიშვნელოვანია:**

- შეთანხმება ვიზების გაცემის პროცედურის გამარტივების შესახებ **არ წარმოადგენს პრეტენზიის ქონის საფუძველს შენგენის ვიზის მისაღებად.**
- შეთანხმების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი გარკვევით განმარტავს, რომ ისეთ საკითხებზე, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ შეთანხმებით, ისევე როგორც აქამდე, ვრცელდება ზოგადი საკანონმდებლო ნორმები (სავიზო კოდექსი, ეროვნული კანონმდებლობა და სხვა). კონკრეტულად კი ეს ნიშნავს, რომ
  - უნდა წარმოადგინოთ მყარი ოჯახური და ფინანსური მდგომარეობის დამადასტურებელი საბუთი;
  - უნდა წარმოადგინოთ საზღვარგარეთ ყოფნისათვის საკმარისი ფინანსური საშუალებების ქონის დამადასტურებელი საბუთი;
  - ვიზაზე უარის შემთხვევაში განმარტება გაიცემა სპეციალური სტანდარტული ფორმულარით.
- საელჩო მომავალშიც იტოვებს უფლებას, ცალკეულ შემთხვევებში მოითხოვოს **დამატებითი დოკუმენტაცია.**

**3. ჩვენი თქვენდამი თხოვნაა:**

- იმ შემთხვევაში, თუ მოვითხოვთ დამატებითი საბუთების წარმოდგენას, გთხოვთ რაც შეიძლება მალე წარმოადგინოთ ისინი, რათა მალევე გაგრძელდეს საბუთების განხილვა.
- დროულად შემოიტანეთ თქვენი განაცხადი. განაცხადის შემოტანა შესაძლებელია შენგენის ტერიტორიაზე შესვლამდე სამი თვით ადრე.
- ჩვენ გაწვდით დაწვრილებით ინფორმაციას – გთხოვთ გულდასმით წაიკითხოთ ჩვენი ინსტრუქციები ვიზების გაცემასთან დაკავშირებით!

ვიზების გაცემის პროცედურის გამარტივების შესახებ შეთანხმების ტექსტების (გერმანულ, ქართულ და ინგლისურ ენებზე) ხილვა შეგიძლიათ ჩვენს ვებ-გვერდზე.

ევროკავშირის დელეგაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია იხილეთ ინტერნეტ გვერდზე: [http://eeas.europa.eu/delegations/georgia/travel\\_eu/visa/index\\_en.htm](http://eeas.europa.eu/delegations/georgia/travel_eu/visa/index_en.htm)